

თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ი ვ ლ ი ტ ა ლ ო ბ ჯ ა ნ ი ძ ვ

ქართული თეატრალური ტერმინოლოგია

სპეციალობა: 10.02.01 – ქართული ენა

ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსამართებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

მ ა ც ნ ვ

თბილისი
2008

თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაშერის უფლებით

ი გ ლ ი ტ ა ლ თ ბ ჯ ა ნ ი ბ ე

ქართული თეატრალური ტერმინოლოგია

სპეციალობა: 10.02.01 – ქართული ენა

2161

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ე გ ა 6

ისილი

2008



ნაშრომი შესრულებულია
იღია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტიში

მეცნიერ-ხელმძღვანელი: მურმან სუხიშვილი – ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აროლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

- შემუშავებლები:
1. შექმა აფრიდონიძე – ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, იღია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი;
 2. ქეთევან დათუეკიშვილი – ფილოლოგის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, აროლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

დისერტაციის დაცვა შედგება 2008 წლის 18 თებერვალის საათზე, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუბლინიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: ქ. ოქლავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

დისერტაციის მაცნე დაიგზავნა 2008 წლის 26 ნოემბრის

სადისერტაციო საბჭოს მდივანი,
ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი:



ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალურობა. ქართული თეატრის ხანგრძლივი ისტორია და მისი ფუნქცია ქართველი ხალხის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისევე როგორც მისი დღევანდელი წარმატებები, თავისთავად წამოსწევს თეატრალური ტერმინოლოგიის სპეციალურად შესწავლის საკითხს, ჯერჯერობით კი ქართული თეატრალური ტერმინოლოგია მონოგრაფიულად შესწავლილი არ არის.

თანამედროვე ქართული თეატრალური ტერმინები ასახავს ქართული თეატრის წარსულსაც და დღევანდელობასაც, არსებულს სათანადოდ აღწერა, ლინგვისტური ანალიზი და სისტემაში მოყვანა ესაჭიროება, ხოლო ახლად წარმოქმნილ ცნებების – ზუსტი სახელდება. ვიტიქობთ, თეატრალური ტერმინოლოგიის კვლევა ხელს შეუწყობს სრული ქართული თეატრალური ლექსიკონის შედგენის საქმეს.

კვლევის მიზანი. სადისერტაციო ნაშრომის მიზანია ქართულ ენაში არსებული თეატრალური ტერმინების თავმოყრა და ლექსიკონებში შეტანილ თეატრალურ ტერმინთა ანალიზი.

ნაშრომში გაანალიზებულია ძველ ქართულ ორიგინალურ თუ ნათარგმნ ძეგლებში დამოწმებული მასალა, ასევე სხვადასხვა ლექსიკოგრაფიის შრომებში დადასტურებული ტერმინები. მასალას, ბუნებრივია, სისრულის პრეცენტია არ აქვს. შეძლებისდაგვარად შეჯერებულია საკვლევი საკითხის ირგვლივ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებები, რიგ შემოხვევაში წარმოვადგინეთ საქუთარი თვალსაზრისის ტერმინთა გენეზისის, მათი ფორმობრივი და სემანტიკური სტრუქტურის, სემანტიკური ანალიზისა და ტერმინთა სიტყვაწარმოებითი მოდელების შესახებ.